12

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

საქართველო. გორი გრ. ფერაძის №5; ს/ნ 218083758

№538 ვ/2

18 მარტი 2016 წ.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა

გარეჯვრის საჯარო სკოლის დირექტორს

ბატონ მიხეილ ბიბილაშვილს

ბატონო მიხეილ,

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია თქვენი წერილი, (გამგეობის რეგისტრაცია: ა/700 7.03.2016წ.), სადაც აღნიშნულია, რომ სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა #05 წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის მიერ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე, შენობა-ნაგებობა (გარაჟი) N05 ექვემდებარება დემონტაჟს. აღნიშნულიდან გამომდინარე პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლამ მოგვმართეთ თხოვნით, სკოლის სარგებლობაში არსებული /ბალანსზე რიცხვული ამორტიზებული- ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, შენობა-ნაგებობის ბალანსიდან ჩამოწერისა და დემონტაჟის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით.

გორის მუნიციალიტეტის გამგეობა გაცნობებთ, რომ ვინაიდან ზემოაღნიშნული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაშია, - ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად'', ჩვენს მიერ განხორციელდა თქვენი წერილის გაგზავნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, რათა მოხდეს განხილვა და შემდგომ რეაგირება.

პატივისცემით,

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი